სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

ხილის გადამუშავება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2015 წლის ივნისამდე პრაღის ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების, ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი) მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - ,,People in Need" და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია, მცირე ფერმერთა თანამშრომლობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ხორციელდება ”ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში” (ENPARD GEORGIA)–ს ფინანსური მხარდაჭერით.

2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა ისეთი მიდგომით, რომ ერთდროულად რამდენიმე საკითხის წარმოების შესაძლებლობა ჰქონოდა. მოხდა მონაცემთა შეგროვების ორგანიზება და მეთოდოლოგიის შერჩევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდების ტრიანგულაციის გამოყენებით, სხვადასხვა კუთხის სპეციფიკური საკითხების შესაფასებლად. მას შემდეგ, რაც დადგინდა მაღალი განვითარების პოტენციალის მქონე ადგილობრივი 10 პროდუქტი, (რაც დაეფუძნა ადგილობრივი ექსპერტებისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ინტერვიუებს), ჩვენ განვახორციელეთ უფრო დეტალური კვლევა, რომელიც თითოეულ შერჩეულ პროდუქტზე თემატიკურად ფოკუსირდებოდა. #1 ცხრილში ასახულია მეხილეობასთან დაკავშირებული რაიონები და ასევე ხილის ის სახეობები, რომლებიც მიიღება იმერეთსა და რაჭაში და გამოკვლეული იქნა ჩვენს მიერ:

ცხრილი 1: მეხილეობასთან და ხილის გადამუშავებასთან დაკავშირებული მუნიციპალიტეტები იმერეთში და რაჭაში[1].

ხილის სახეობა	მუნიციპალიტეტი	გადამამუშავებელი საწარმო
ვაშლი	თერჯოლა, ამბროლაური	ამბროლაური
მსხალი	თერჯოლა	
კარალიოკი/ხურმა	ზესტაფონი, თერჯოლა, წყალტუბო	ამბროლაური, ბაღდათი
კივი	ხონი	
ტყემალი	ზესტაფონი, თერჯოლა	თერჯოლა
ბალი	ზესტაფონი, თერჯოლა, წყალტუბო	

ხილის აღნიშნული სახეობების შერჩევა გამოსაკვლევად მოხდა ერთის მხრივ, ქვეყანაში რეგიონების მიხედვით ხილის წარმოების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის და მეორეს მხრივ, დარგის ექსპერტებთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე.

იმერეთის და რაჭის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პრუდუქტთან დაკავშირებული დარგობრივი მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

- 2013 წლის ივლისი - იმერეთის 11 რაიონის რვა ძირითადი პროდუქტის წარმოების სისტემები;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი სამ რაიონში, რომლებიც დადგენილ იქნა სამიზნე რაიონებად პროექტის განხორციელებისათვის;
- 2013 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - შვიდი პროდუქტისთვის მონაცემების შეგროვება და დასრულება.
- 2015 წლის მარტი-ივნისი - სამი პროდუქტისთვის მონაცემების შეგროვება და დასრულება.

[1] შენიშვნა: იმის გამო, რომ იმერეთსა და რაჭაში არ არსებობს საწარმო, რომელიც ახორციელებს ხილის გადამუშავების სრულ ციკლს, დამატებით ასევე გამოკვლეული იქნა კასპში არსებული ხილის გადამამუშავებელი საწარმო, ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად.

ანალიზისთვის გამოყენებული იქნა, უმთავრესად, ინფორმაციის ძირითად მიმწოდებლებსა და ფერმერთა ჯგუფზე დაყრდნობით წარმოებული თვისობრივ-ხარისხობრივი კვლევა, რომელსაც უნდა გამოევლინა სამიზნე ჯგუფების ქცევები და მათი აღქმა კონკრეტულ თემებთან, თუ საკითხებთან მიმართებაში. მთავარ თვისობრივ-ხარისხობრივ მეთოდად გამოყენებული იქნა ნახევრადსტრუქტურული, საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი ინტერვიუების მეთოდი. ინტერვიუები წარმოებდა ინფორმაციის მომწოდებელთა მცირე ჯგუფებთან, რომლებსაც გამოკვლეულ, განხილულ საკითხთან დაკავშირებით როგორც წესი, უშუალო პირველადი ცოდნა გააჩნიათ. თითოეული ინტერვიუ 1,5-დან 2 საათამდე გაგრძელდა. ინფორმაციის ძირითად მომწოდებელთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ მოეცვა მთელი ქსელი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. ყოველივე ეს გულისხმობს იდენტიფიცირებასა და ინტერვიუების წარმოებას ისეთ ჯგუფებთან, როგორებიცაა - სხვადასხვა სიდიდის ფერმერები - მწარმოებლები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები.

მეხილეობისა და ხილის გადამუშავების, როგორც სოფლის მეურნეობის ერთერთი დარგის მონაცემთა შეგროვების საშუალებას წარმოადგენს შემდეგი:

- ფოკუს-ჯგუფის ტიპის კვლევა ხილის მწარმოებელ ფერმერებთან;
- ინტერვიუები ხილის მწარმოებელი ფერმერების და გადამამუშავებელი საწარმოების წარმომადგენლებთან;
- ხილისა და ხილის გადამუშავებით მიღებული სხვადასხვა საკვები პროდუქტების ბაზრის შესწავლა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მომაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ კვლევებს და აშ.

სურათი 1. მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა



ხილის მწარმოებლები

ინვენტარის მაღაზია

ბითუმად მოვაჭრეები

ხილის გადამამუშავებელი საწარმო

3 მეხილეობა და ხილის გადამუშავება, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი ტრადიციული დარგია. ის ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში არის გავრცელებული და სხვადასხვა რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია ხილის სახეობებიც, რომლებიც ქვეყანაში მოიყვანება. დიაგრამა #1-ზე მოცემულია ხილის წარმოების მოცულობა ქვეყანაში წლების მიხედვით საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 2013 წელს, 2006 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 40%-ით, რაც ძირითადად განპირობებულია ვაშლის, ატმის და თხილის წარმოების მოცულობის ზრდით (იხილეთ ცხრილი 2). ხილის წარმოების მხრივ ტრადიციულად დომინანტი რეგიონებია შიდა ქართლი და სამეგრელო. 2006 წელს იმერეთზე ხილის წარმოების 23% (36 ათასი ტონა) მოდიოდა, ეს მაჩვენებლი 2013 -ს 11%-მდე (24 ათასი ტონა) შემცირდა .

დიაგრამა #1 - ხილის წარმოების მოცულობა საქართველოში წლების მიხედვით[2] (ათასი ტონა)



ცხრილი 2. ხილის წარმოების მოცულობა ქვეყანაში სახეობების მიხედვით[3] (ათასი ტონა)

ჯიშები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ვაშლი	32,8	101,3	41,5	80,7	21,1	64,3	45,0	68,6
მსხალი	22,5	19,6	16,4	11,1	13,7	17,6	16,1	17,0
კომში	1,1	1,5	1,2	2,2	0,5	0,9	0,9	2,1
ქლიავი	12,8	16,3	12,6	6,3	6,7	7,2	10,7	8,7
ბალი, ალუბალი	4,8	5,5	4,0	4,0	3,0	2,7	5,1	5,6
გარგარი	0,5	0,3	0,7	0,2	0,8	0,3	0,7	0,7
ატამი	5,3	8,2	13,7	17,6	6,9	19,1	7,1	23,7
ტყემალი	24,3	18,6	18,0	6,9	11,9	9,7	13,7	10,3
კაკალი	3,9	11,8	6,2	8,2	6,1	5,7	4,8	10,8
თხილი	23,5	21,2	18,7	21,8	28,8	31,1	24,7	39,7

რაც შეეხება მიზნობრივ რეგიონებს - იმერეთსა და რაჭას, ხილის წარმოების შესახებ ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებში, რაჭისთვის მონაცემები ხილის არც ერთი სახეობის მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი მისი დაბალი მაჩვენებლის გამო. ხოლო იმერეთის რეგიონის ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ რეგიონი ქვეყანაში პირველ ადგილზე არის მხოლოდ ტყემლის წარმოების

[2] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge
[3] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge

მოცულობით. ხილის სხვა სახეობები კი, რომლებიც რეგიონში საკმაოდ მრავალფეროვანია, წარმოების მოცულობით სხვა რეგიონებს საკმაოდ ჩამოუვარდება. ამასთან, როგორც ცხრილი #2 აჩვენებს, ტყემლის წარმოების მოცულობა ქვეყანაში 2013 წელს 2006 წელთან შედარებით დაახლოებით 2,4-ჯერ არის შემცირებული.

დიაგრამა 2 - 2013 წელს ხილის წარმოების სტრუქტურა იმერეთში (ათასი ტონა)[4]



სამიზნე რეგიონში ხილის გადამუშავებით მიიღება ორი ძირითადი პროდუქტი: ჩირი და ტყემლის საწებელი. ჩირის დაახლოებით 80% მზადდება მაჟალოსაგან, თუმცა ასევე გამოიყენება პანტა, კარალიოკი, ხურმა და ქლიავი. შესაბამისი საწარმოები არსებობს როგორც იმერეთში ასევე რაჭაში. ტყემლის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს თერჯოლაში, სადაც ასევე არის ძირითადი სანედლეულო ბაზა. წარმოებული ჩირის და ტყემლის საწებლის უდიდესი ნაწილი გაიტანება ექსპორტზე ქვეყნის გარეთ.

თუმცა, ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები, ხილის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ არსებობს მხოლოდ ქვეყნის დონეზე და არა რეგიონების ჭრილში. აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდას განიცდის როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი (იხ. დიაგრამა #3 და #4). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებული ხილის მაქსიმუმ 5% გადის ექპორტზე, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადად ხდება ციტრისის ხარჯზე. რაც შეეხება იმპორტს, მონაცემები არაა ხელმისაწვდომი ხილის სახეების მიხედვით, თუმცა ბაზარზე არსებული პროდუქტების გათვალისიწნებით, შეგვიძლია დავასკვანთ, რომ ესპორტი ძირითადად ხდება ზამთარში და შემოდის ისეთი ხილი როგორებიცაა: ვაშლი, ცუტრუსისდა ასევე მთელი წლის განმავლობაში ქვყენეაში აქტიურად იყოდება ეგზოტიკური ხილი, განსაკუთრებით კი ბანანი.

[4] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge

დიაგრამა 3 - ხილის ექსპორტი საქართველოდან[5] (ათასი ტონა)



დიაგრამა 4 - ხილის იმპორტი საქართველოში[6] (ათასი დოლარი)



კვლევით დადგინდა, რომ სამიზნე რეგიონში არსებული ხილის სახეობებიდან გადამუშავების პერსპექტივები ამ ეტაპზე აქვს მხოლოდ ტყემალს და ასევე ჩირის საწარმოებლად გამოყენებულ ხილს, ძირითადად მაჟალოს და პანტას. თუმცა ამ მიმართულებების განვითარებისათვის აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საწარმოო ხაზების გამოყენება, რომელიც მეწარმეს მისცემს საშუალებას დაამზადოს კონკურენტუნარიანი საბოლოო პროდუქტი და არა ნახევარფაბრიკატი, რომელიც შემდგომ გადამუშავებას საჭიროებს.

[5] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge
[6] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური Geostat.ge

4 ხილის გადამუშავების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 წარმოების სისტემები

სურათი 2 - ვაშლის ბაღი თერჯოლაში

იმერეთის და რაჭის რეგიონებში, სოფლად მცხოვრები თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობა ფლობს მცირე რაოდენობით სხვადასხვა ხილის ნარგავებს, თუმცა ისინი, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის და არ გააჩნია სამრეწველო დანიშნულება მცირე გამონაკლისის გარდა. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, არის ხილის ნარგავებით დაკავებული ფართობების სიმცირე და მეორეს მხრივ, დაბალი საშუალო მოსავლიანობა სხვა რეგიონებთან შედარებით, რაც თავის მხრივ განპირობებულია სპეციფიკური კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებით. ძირითადი

ხილი, რომელიც იმერეთის და რაჭის რეგიონებში საოჯახო მეურნეობებში გვხვდება არის ვაშლი, მსხალი, ტყემალი, კარალიოკი, ხურმა, ბალი, კივი, ატამი და ა.შ. აღნიშნული ხილი სამიზნე რეგიონებში საკარმიდამო ნაკვეთებში ფაქტიურად ნახევრად ველურად იზრდება.

ფერმერები, როგორც წესი არ ახდენენ ნარგავების შეწამვლას, გასხვლას, მიწის დამუშავებას და სხვა. კვლევამ აჩვენა, რომ სამიზნე რეგიონებში, არსებობს მხოლოდ ერთ ათეულზე ნაკლები ფერმერული მეურნეობა, რომელთაც მოჰყავთ ხილი არა საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ ბაზარზე გასატანად და ფუნქციონირებს მხოლოდ 2-3 მცირე წარმადობის ხილის გადამამუშავებელი საწარმო. კვლევის პროცესში მოხდა თითქმის ყველა მათგანის გამოკითხვა და სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციებთან ერთად სწორედ მათგან მიღებული ინფორმაციების განზოგადების საფუძველზე იქნა მომზადებული წინამდებარე ანგარიში.

იმერეთსა და რაჭის რეგიონებში გვხდება მხოლოდ ვაშლის საწარმოო დანიშნულების კულტურული პლანტაციები. თუმცა პლანტაციების საშუალო ზომა საკმაოდ მცირეა და საშუალო მოცულობა დაახლოებით 2-3 ჰექტარია, ყველაზე დიდი პლანტაცია 6ჰა ფართობზეა გაშენებული, ყველაზე მცირე კი 1 ჰა-ზე. ვაშლის ბაღის გაშენება მოითხოვს საწყის ინვესტიციას დაახლოებით 5-6 ათას ლარს 1ჰა მიწის ნაკვეთზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხილის გადამუშავება მიზობრივ რეგიონებში ხდება ორი მიმართულოებით: (1) ტყეში შეგროვებული მაჟალოს გაშრობა; (2) ტყემლის წარმოება. ტყემლის საწბლის წარმოებისათვის საჭირო ტყემლის ნაყოი გროვდება შინამეურნეობებში მოყვანილი პროდუქტისაგან. რეგიონში არ არსებობს ტყემლის პლანტაციები.

აღნიშნული გადამამუშვებელი საწარმოები არ გამიოყენებენ რაიმე რთულ საწარმოო პროცესს, მაჟალოს შემთხვევაში ხდება პროდუქციის გაშრობა სპეციალურ ღუმელში, ხოლო ტყემლის საწებლის წარმეობა კი პრაქტიკულად არ განსხვავდება საოჯახო მეურნეებებში ტრადიციულად დამზადების პროცესისასგან.

4.2 პროდუქტიულობა

მაჟალოს პროდუქტიულობის მაჩვენებლების შეფასება შეუძლებელია, რამდენადაც მისი შეგროვება ტყეში ხდება და არ არსებობს ობიექტური მონაცემები.

მაჟალო

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკმაოდ საინტერესო პოტენციალი აქვს მაჟალოს (ველური ვაშლი) მოპოვება-გადამუშავებას, რომელიც უხვად მოიპოვება რაჭის რეგიონის და იმერეთის ცალკეული რაიონების, მაგალითად ტყიბულის ტყეებში. ამბროლაურში არსებობს ჩირის მწარმოებელი კომპანია, რომელიც მოსახლეობისაგან წლიურად დაახლოებით 1000 ტონამდე ტყეში შეგროვებულ მაჟალოს შეისყიდის ჩირის დასამზადებლად. 1 კგ ნედლეულის შესყიდვის ფასი დაახლოებით 15 თეთრია და მისგან წარმოებული 1 კგ. ჩირის საშუალო თვითღირებულება 2-2,1 ლარია, ხოლო სარეალიზაციო ფასი დაახლოებით 1,7 ევრო. რაც იმას ნიშნავს, რომ მოგების მარჟა დაახლოებით 40%-ია. დამზადებული პროდუქციის 95% განკუთვნილია საექსპორტოდ და ერთადერთი მყიდველი არის კომპანია „მარტინ ბაუერი“, ხოლო დანარჩენ 5%-ს შეისყიდიან ადგილობრივი ხილის ჩაის მწარმოებელი კომპანიები, მაგალითად „გურიელი“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა ანუ მოთხოვნა ბაზარზე ბევრად აღემატება კომპანიის საწარმოო შესაძლებლობებს. ასევე კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, ისინი იყენებენ აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში არსებული მაჟალოს მოსავლის დაახლოებით 20%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს დამატებითი ნედლეულის მიღების შესაძლებლობა წარმოების მოცულობის გასაზრდელად.

წარმოებული ჩირის თვითღირებულების ძირითადი კომპონენტია ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის ხარჯი და კომუნალური გადასახადები (დაახლოებით 40%), ხოლო შემდეგ მოდის ნედლეულის ღირებულება ტრანსპორტირების ჩათვლით და ხელფასი დაახლოებით თანაბარი ოდენობით.

ჩირის დამზადების პროცესი ტექნოლოგიურად საკმაოდ მარტივია. მიღებული ვაშლი ირეცხება, იჭრება და თავსდება საშრობში სასურველი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მაჟალოს ჩირის წარმოება საკმაოდ პერსპექტიულია რეგიონში. ვინაიდან, მოგების მარჟა საკმაოდ

მაღალია, ნედლეული ბუნებაში პირდაპირ მიიღება და არ არის საჭირო მის მოყვანაზე დამატებითი რესურსების ხარჯვა და რაც მთავარია, არ არსებობს რეალიზაციის პრობლემა.

ტყემალი

როგორც ზემოთ აღნიშნა, ტყემლის წარმოების მოცულობით იმერეთის რეგიონი, ქვეყანაში პირველ ადგილზეა, თუმცა საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, მისი წარმოების მოცულობა უკანასკნელ წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება ქვეყნის ყველა რეგიონში და მათ შორის იმერეთშიც.

დიაგრამა #5 – ტყემლის წარმოების მოცულობა საქართველოში[7] (ათასი ტონა)



დიაგრამა #6 – ტყემლის წარმოების მოცულობა რეგიონების მიხედვით[8] (ათასი ტონა)



[7] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური www.Geostat.ge
[8] საქართველოს სტატისიტიკის ეროვნული სამსახური www.Geostat.ge

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში არ არსებობს სპეციალურად გაშენებული ტყემლის ბაღები, რომლებშიც მიზანმიმართულად ხდება პროდუქციის მიღება, თუმცა რამდენიმე ერთეულ, ან ზოგჯერ ათეულზე მეტ ტყემლის ხეს ვხვდებით თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობის საკარმიდამო ნაკვეთში. ისინი მრავლად არის ასევე რეგიონის ტყეებში, სადაც მოსახლეობა მოიპოვებს მის ნაყოფს და აბარებს გადამამუშავებელ საწარმოებს. შესაბამისად, ტყემლის ხე რეგიონში, როგორც წესი, იზრდება ნახევრად ველურად, მნიშვნელოვანი მოვლის - შეწამვლის, გასხვლის და ა.შ. გარეშე. თუმცა, არის ტყემლის სახეობები, რომლებიც გაკულტურებულია - გამოყვანილია მყნობის შედეგად, მაგალითად ალუჩა.

საოჯახო მეურნეობებში მიღებულ, ან მოსახლეობის მიერ ტყეში შეგროვებულ ტყემლის ნაყოფს შეისყიდიან გადამამუშავებელი საწარმოები. შესყიდვის საშუალო ფასი არი 0,3 ლარი კილოგრამზე. შესყიდული ნედლეული მუშავდება და მიიღება ტყემლის ფაფა - საწებელი, რომელიც თითქმის 100%-ით გაიტანება ექსპორტზე, ძირითადად რუსეთში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ა.შ. მისი ფასი საერთაშორისო ბაზარზე ძირითადად სტაბილურია და შეადგენს დაახლოებით 1 $ - ს კილოგრამზე.

ტყემლის საწებელი საკმაოდ პოპულარული პროდუქტია ასევე ადგილობრივ მომხმარებლებშიც, თუმცა რეგიონის მოსახლეობა ძირითადად შინამეურნეობაში წარმოებულ პროდუქტს მოიხმარს. ვინაიდან მისი დამზადების ტექნოლოგია საკმაოდ მარტივია, თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობა სოფლად მას კუსტარულად ამზადებს. გადამუშავებული ნედლეულიდან მზა პროდუქციის გამოსავლიანობა დაახლოებით 75%-ს შეადგენს.

ვაშლი

ხეხილოვანი კულტურებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაშლის წარმოებას, რომლის მოცულობა ყველა სხვა ხილის წარმოების მოცულობას აღემატება.

ვაშლის კულტურული ჯიშების ნაყოფი შეიცავს შაქარს (ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა), მჟავებს (ვაშლის, ლიმონის), პექტინს, ცილოვან ნივთიერებებს, უჯრედისს, ვიტამინებს (A,B,C), წყალს (83-90%) და სხვა.

ვაშლის ყველაზე ხარისხიანი პროდუქცია მიიღება ზღვის დონიდან 700-1200 მ-ის სიმაღლემდე. ვაშლის ხე გაშენებიდან 5-6 წლის შემდეგ იწყებს ნაყოფის მოცემას, 9-10 წლის ასაკში აღწევს სრულ მსხმოიარობას და ბაღის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა დაახლოებით 25-30 წელი და მეტია.

მსოფლიოში ცნობილია ვაშლის 10 ათასზე მეტი ჯიში, მათგან საქართველოში გავრცელებულია 200-მდე ჯიში. იმერეთის რეგიონში კი ძირითადად გამოიყენებენ „ასტრახანული წითელის“ ჯიშის ვაშლს, ანუ როგორც მას საქართველოში უწოდებენ „მაისის ვაშლს“. ეს ჯიში განკუთვნილია პირდაპირ/უშუალო მოხმარებისათვის და არა გადამუშავებისათვის, ვინაიდან მისი რეალიზაცია ბაზარზე უფრო მაღალ ფასში ხდება, ვიდრე გადასამუშავებლად ჩაბარების ფასებია.

ის კარგად ეგუება იმერეთში არსებულ კლიმატურ და ნიადაგურ პირობებს და მისი მოვლა შედარებით მარტივია. მოსავლის მიღების ზუსტი დრო დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, თუმცა იწყება დაახლოებით მაისის ბოლოდან და გრძელდება 50 დღის განმავლობაში. შესაბამისად, ეტაპობრივად ახდენენ ფერმერები პროდუქტის ბაზრისათვის მიწოდებას. რეგიონში მიღებული მოსავალი სრულად არის განკუთვნილი ადგილობრივი ბაზრისათვის (თბილისი, ქუთაისი, ზესტაფონი და ა.შ.). 1 კგ. პროდუქტის საშუალო სარეალიზაციო ფასი ბაზარზე არის 1,5-2 ლარი. მწარმოებლები ან თავად ახდენენ პროდუქციის მიწოდებას ბაზრისათვის, ან შუამავლები ყიდულობენ ადგილზე მათგან პროდუქტს.

„მაისის ვაშლის“ მოსავლიანობა 1 ჰა-ზე 5-დან 10 ტონამდეა, მაშინ, როცა სხვა რეგიონებში, მაგალითად, შიდა ქართლში გამოიყენება ვაშლის ჯიშები, რომელთა მოსავლიანობა 30-40 ტონაა ჰექტარზე.

მსხალი, ბალი, ატამი

სამრეწველო დანიშნულების მსხლის ნარგავები იმერეთისა და რაჭის რეგიონებში პრაქტიკულად არ არსებობს. საოჯახო მეურნეობები მსხლის პლანტაციებს ფლობენ საკუთარი მოხმარებისათვის და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის პროდუქცია შეიძლება გაქონდეთ ბაზარზე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ იმერეთსა და რაჭაში კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები ხელს არ უწყობს მსხლის მაღალ პროდუქტიულობას, შესაბამისად, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნად, რომ ამ ეტაპზე მსხლის წარმოება-გადამუშავება რეგიონში პერსპექტიული არ იქნება. ზუსტად ანალოგიური მგდომარეობა არის ბალთან და ატამთან დაკავშიებითაც.

ჩირის წარმოება (კარალიოკი, ხურმა)

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში საკმაოდ მრავლად არის კარალიოკის, ხურმის, ლეღვის ხეები, რომლის ნაყოფიც გამოიყენება ჩირის დასამზადებლად (ვაშლის და მაჟალოს ჩირზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), თუმცა მიუხედავად ამისა, იმერეთის რეგიონში მხოლოდ ერთი მცირე ზომის საწარმოა, სადაც ჩირის წარმოება ხდება, მეტ-ნეკლებად მაინც სპეციალური ტექნოლოგიის და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ძირითადი მოცულობა პროდუქციისა იწარმოება საოჯახო მეურნეობებში კუსტარულად, რაც გულისხმობს ხილის ღია წესით შრობას. ერთადერთ არსებულ საწარმოში კი პროდუქტის წარმოების პროცესი მარტივია, ხილი სუფთვდება იცლება კანისა და კურკისაგან, შემდეგ ხდება მისი მოთავსება საშრობ კამერაში და მიღებული პროდუქცია იფუთება. უნდა აღნიშნოს, რომ ძირითადი ხილი, რომლისგანაც ამჟამად ჩირი მზადდება რეგიონში არის კარალიოკი და ხურმა. ისინი დიდი ოდენობით მოიყვანება რეგიონის მაღლობ ადგილებში თითქმის ყველა საოჯახო მეურნეობის მიერ, თუმცა მწარმოებელთა მოსაზრებით ასევე საინტერესოა ლეღვის, ქლიავის და სხვა ხილის ჩირის წარმოებაც. მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ჩირის წარმოების მოცულობა სავარაუდოდ იმდენად უმნიშვნელოა, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიერ მის წარმოებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები ცალკე არ ითვლება, რაც ართულებს დარგის არსებული მგომარეობის და სამომავლო პოტენციალის სრულყოფილ ობიექტურ შეფასებას.

კივი

საქართველოში წლის მანძილზე დაახლოებით 2500 ტონა კივი მოდის. მოსავალი ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი. სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია და ლაგოდეხი – ეს ის რაიონებია, სადაც ფერმერებს კივი მოყავთ. თუმცა ქვეყანაში ხდება ასევე კივის იმპორტიც თურქეთიდან და ირანიდან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს ბაზარზე 70% ადგილობრივი კივი იყიდება, ხოლო 30% – იმპორტირებული.

კივი არის სუბტროპიკული კულტურა, რომლის მოყვანა იმერეთის რეგიონის მხოლოდ შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში - ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილში არის შესაძლებელი. როგორც კვლევამ აჩვენა, აქ კივის პლანტაციების ფართობები ერთ ათეულ ჰექტარს (ჰექტარზე ირგვება 500 ძირი) არ აღემატება და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე სრულმსხმოიარობის დროს დაახლოებით 5 ტონას შეადგენს. იმერეთში მოყვანილი კივი სრულად პირველადი სახით გაიტანება ბაზარზე და არ ხდება მისი გადამუშავება (მაგალითად ჯემის, ან წვენების წარმოება).

4.3 ხილის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთის რეგიონისთვის

სქემა #1 - ბაზრის განაწილება დისტრიბუციის არხების მიხედვით



იმერეთში წარმოებული ხილი უმეტეს შემთხვევაში **პირდაპირ ხვდება ბაზარზე** უშუალო მწარმოებელთა მიერ. ისინი ან უშუალოდ თვითონ ყიდიან საცალოდ, ან

აბარებენ ბაზრზე მყოფ გადამყიდველებს. ფერმერები მიღებულ მოსავალს საკუთარი ძალებით აწვდიან ადგილობრივ ბაზარს ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში (ძირითადად ვაშლს და კივს). გადასამუშავებელ სახეობის პორდუქტებს მაგალითად ტყემალს, მჟალოს ანდა ხურმას ადგილზე ყიდიან **შუამავლებზე (ე.წ. შემგროვებლებზე), რომლებიც თავის მხრივ** შეგროვებულ ხილს აბარებენ გადამამუშავებელ ქარხნებს. შუამავლები ძირითადად თანამშრომლობენ გადამამუშავებელ საწარმოებთან, მაგალითად შუამავლები ახდენენ ტყემლის შეგროვებას, რისთვისაც ისინი უშუალოდ დადიან სოფლებში და უთანხმდებიან საოჯახო მეურნეობებს ტყემლის შეგროვება-შესყიდვაზე, რომელსაც საკუთარი ავტომობილებით ზიდავენ გადამამუშავებელ საწამოებში.

ანალოგიური სიტუაცია არის ასევე მაჟალოსთან მიმართებაში. ცალკეული პირები ქმნიან სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ტყეში აგროვებენ მაჟალოს, ჩამოაქვთ სამანქანო გზამდე და აბარებენ შუამავალს, რომელიც უხდით მათ შეთანხმებულ ფასს, ხოლო პროდუქცია მიაქვს გადამამუშავებელ საწარმოში, სადაც ხდება ნედლეულის გადამუსავება და პროდუქციის წარმოება, რომლის დიდი ნაწილი გაიტანება ექსპორტზე ქვეყნის გარეთ. არსებულ საწარმოებს ექსპორტიორებთან - ქვეყნის გარეთ მყოფ მყიდველებთან, აქვთ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობა რაც მათ უადვილებს პროდუქციის რეალიზაციას. გამომდინარე იქედან რომ მათი წარმოების მოცულობა მცირეა, არსებულ ეტაპზე სექსპორტო ბაზრების გაფართოება ანდა დივერსიფიკაცია დღის წესრიგში არ დგას.

4.4 პროდუქციის ფასები

ხილისა და ხილის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების ფასები დივერსიფიცირებულია სახეობებისა და სეზონების მიხედვით.

ცხრილი #3 - იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში წარმოებული ხილის საშუალო ფასები:

პროსუქტის სახეობა	საცალო ფასი, ლარი	საბითუმოფასი, ლარი
ვაშლი	1,5-2	0,1
მაჟალო		0,15
მაჟალოს ჩირი		4
ტყემალი	1,5-2	0,3
ტყემლის საწებელი	4	2
კივი	1,5-2	
ბალი	2,5-3	

შენიშვნა: კივის და ბალის საბითუმო რეალიზაცია არ ხდება, ისევე როგორც მუჟალო ვაშლის საცალო რეალიზაცია, ხოლო მუჟალოს ჩირის რეალიზაცია ხდება ექსპორტზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც იწარმოება იმერეთისა და რაჭის რეგიონებში. ასევე საინტერესოა საქართველოს სხვა რეგიონებში წარმოებული მსგავსი და დაკავშირებული პროდუქტების ფასები, რომლებიც იყიდება აღნიშნულ რეგიონებში.

ცხრილში წარმოდგენილი არის საშუალო ფასები, რომელთა ცვალებადობა ძირითადად გამოწვეულია ხილის მოსავლის ოდენობით. მცირე მოსავალი იწვევს ფასების ზრდას და პირიქით. ამასთან, მეწარმეთა განცხადებით აღნიშნული ცვალებადობა მერყეობს დაახლოებით 20%-ის ფარგლებში.

ცხრილი #4 - რეგიონის ბაზარზე არსებული პროდუქტების ფასები, რომლებიც იწარმოება იმერეთისა და რაჭის რეგიონების გარეთ, კომპანია კულას მიერ:

პროსუქტის სახეობა	შეფუთვა (წონა)	საცალო ფასი, ლარი
ნატურალური ატმის წვენი	1ლ	3.50
ნატურალური ვაშლის წვენი	1ლ	3.00
ნატურალური ატმის წვენი	0.33ლ	1.60
ქლიავის ჯემი	420გრ	2.80
ქლიავის ჯემი	900გრ	3.30
ვაშლის ჯემი	900გრ	3.00
ტყემალი ყვითელი	545გრ	2.30
ტყემალი მწვანე კლასიკური	545გრ	2.30
ტყემალი წითელი ნივრით	365გრ	2.30
ატმის კომპოტი	850გრ	3.00
ვაშლის წვენი	1ლ	2.00
შავი ქლიავის ჩირი	1კგ	23

5 კონკურეტუნარიანობის ალმასის მოდელი: რესურსების პირობები; მოთხოვნის პირობები; მონათესევე სექტორები; კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსები

ხილის გადამუშავებისა და მისგან სხვადასხვა პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი არის რამდენიმე ძირითადი კომპონენტი, კერძოდ:

საწარმოო ხაზი. თანამედროვე პირობებში, ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ბაზარზე კონკურენცია არის იმდენად მაღალი, რომ მასზე შესვლისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელია მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ამისათვის, თავის მხრივ, ერთერთი მთავარი პირობა არის გამართული ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი საწარმოს არსებობა. საწარმოო ხაზი, რომელიც საწარმოს აღჭურვილობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს, საკმაოდ ძვირადღირებულია, ამიტომ, რეგიონში არსებული საწარმოები ძირითადად იყენებენ ძველ საბჭოთა წარმოების დანადგარებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ვერ იძლევიან შედარებით რთული ტექნოლოგიის პროდუქციის ხარსხიანად წარმოების შესაძლებლობას.

გამოკვლეულ მეწარმეთა ინფორმაციით, თანამედროვე პირობებში, ხილის გადამუშავებისათვის, ერთერთ ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიად ითვლება ასეპტიკური საწარმოო ხაზი, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ მისი გამოყენებით დამზადებული პროდუქცია არ საჭიროებს დანამატებს შენახვის ვადის გაზრდისათვის, ვინაიდან ის ნედლეულის დამუშავებისას ულტრაიისფერი დასხივებით უზრუნველყოფს შენახვის ვადის გაზრდას დანამატების გამოყენების გარეშე. ასეთი საწარმოო ხაზის მთავარ მწარმოებლებად ითვლებიან იტალია, გერმანია, შვეიცარია და ა.შ. მათი საშუალო ღირებულება 400-დან 600 ათას ევრომდე არის და დამოკიდებულია ხაზის წარმადობაზე და საექსპლოატაციო მომსახურების პირობებზე.

ნედლეული და მასალები. დარგში პროდუქციის წარმოების ძირითადი ხარჯები მოდის თავად ხილზე, როგორც ნედლეულზე. სხვადასხვა პროდუქტში სხვადასხვა წილი აქვს ნედლეულს, კერძოდ: ტყემლის საწებლის შემთხვევაში საწებლის მისაღებად საჭიროა 90% ტყემლის პიურე და 10% სანელებლები და წყალი. 1 კგ 8%–იანი ტენიანობის ჩირის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 6 კგ ნედლეული. კომპოტების შემთხვევაში დაახლოებით 50% არის ხილი, ხოლო დანარჩენი შაქარი და წყალი. ხილფაფის შემთხვევაში 65-70% არის ხილი და 30% შაქარი და წყალი[9]. უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთისა და რაჭის რეგიონებში არსებულ საწარმოებში მზადდება მხოლოდ ტყემლის საწებელი და ჩირი. მათი სანედლეულო ბაზა ისევ აღნიშნული რეგიონებია, ვინაიდან სხვა რეგიონებიდან ნედლეულის შემოტანა ეკონომიკურად არარენტაბელურია.

ნედლეულისა და მასალების კომპონენტის მეორე ძირითადი მუხლი არის ტარა. დარგში ძირითადად იყენებენ მინის, მუყაოსა და პოლიეთილენის ტარას. მათი ფასები

[9] *ხილფაფა არის გატარებული და მოხარშული, ხოლო ჯემი დაჭრილი და მოხარშული*

დამოკიდებულია ტარის სახეობაზე, ყველაზე ძვირი ღირს მინის ტარა, რომელიც ძირითადად იმპორტირებულია უკრაინიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან. თუმცა, რეგიონში არსებული საწარმოები არ იყენებს მას. რეგიონში წარმოებული პროდუქციისის შეფუთვა ხდება მუყაოს (მაგალითად ჩირი), ან პოლიეთილენის სხვადასხვა ზომის ტარაში. კერძოდ ტყემლის საწებლის, რომელიც თითქმის მთლიანად ექსპორტზე გაიტანება, ტრანსპორტირება ხდება დიდი ზომის პოლიეთილენის ტარით.

პროდუქციის წარმოებიებისათვის ასევე აუცილებელია **დანამატების გამოყენება,** თუმცა ისინი ძალიან მცირე ღირებულებისაა და ძირითადად ყიდულობენ საქართველოში, კერძოდ თბილისში.

სურათი #3 - ხილის მოსახარში ქვაბები საკონსერვო საწარმოში

სამუშაო ძალა. დარგში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა სეზონურობით ხასიათდება. კერძოდ, ძირითადი მოთხოვნა არის ნედლეულის მიღებისა და დამუშავების დროს. თუმცა გამოკითხულ მეწარმეთა ინფორმაციით, შრომის ანაზღაურების ხარჯების ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 10-15%-ს არ აღემატება. სამუშაო ძალა, რომელიც გადამამუშავებელი საწარმოების მიერ გამოიყენება არ საჭიროებს მაღალ კვალიფიკაციას, შესაბამისად მისი მოძიება, როგორც წესი პრობლემური არ არის. თუმცა განსხვავებული სიტუაცია არის რაჭის რეგიონში, სადაც კომპანია მაჟალოს ჩირს აწარმოებს ტყეში შეგროვებული მაჟალოს ნაყოფისაგან. ვინაიდან რეგიონი მაღალმთიანია, ტყიდან ნაყოფის გამოსატანად სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ვერ ხერხდება და შესაბამისად ადამიანის შრომის საჭიროება მაღალია, რაც დაცლილი სოფლების შემთხვევაში საკმაოდ პრობლემურია.

სურათი #4. ნედლეულის დასახარისხებელი დანადგარები საკონსერვო საწარმოში

5.2 მოთხოვნა

ექსპერტული გათვლებით 2013 წელს განმავლობაში საქართველოში დაახლოებით 9 მილიონი ლარის ღირებულების მურაბები და ჯემები იქნა მოხმარებული. იგივე პერიოდის განმავლობაში ტყემლის წლიურმა მოხმარებამ ქვეყანაში შეადგინა 1,5 მილიონი ლარი, თუმცა აღსანიშავია, რომ როგორც მურაბებსა და ჯემების შემთხვევაში ასევე ტყემალზე მოთხოვნის უდიდეს ნაწილს (80–90%) შინამეურნეობები საკუთარი წარმოების ხარჯზე აკმაყოფილებენ, მსყიდველუნარიანი მოთხოვნა გვხდება ძირითადად „დიდ ქალაქებში“ პირველ რიგში თბილისში. თუმცა დიდი ქალაქებშიც ხშირად ოჯახები თვითონვე ამზადებენ ტყემალს საწებელს საკუთარი რეცეპტებით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ტყემლის საწებელი ძალიან პოპულარული და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია. შეიძლება ვივარაუდოდთ, რომ გრძლევადიან პერიოდში ოჯახები უპირატესობას მიანიჭებენ მზა პროდუქტის ყიდვას, თუმცა მოთხოვნის შესაბამისი მიწოდებაც უნდა არსებობდეს როგორც საგემოვნო, ასევე შეფუთვისა და გავცლების კუთხითაც.

ამ ეტაპზე, იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ხილის გადამუშავების შედეგად მიღებული ორი ძირითადი პროდუქტის ტყემლის საწებელისა და ჩირის თვალსაზრისი ყველაზე პერსპექტიული მაინც საექპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნაა. მათგან ჩირის პროდუქტებისათვის არსებობს ევროპულ ბაზრებზე გასვლის შესაძლბელობა. ამ ეტპზე ძირითადი გამოწვევა არასაკმარისი ნედლეული და შესაბამისად მზა

პროდუქციაა. ხოლო ტყემლისათვის კი პოსტ-საბჭოთა ქვეყნები წარმოადგნენენ ძირითად გასაღების ბაზრებს.

5.3 მსგავსი წარმოებები - მონათესავე სექტორები

იმერეთისა და რაჭის რეგიონებში არსებული, გამოკვლეული საწარმოები, როგორც წესი არ ეწევიან დამხმარე საქმიანობას, გამონაკლისია მხოლოდ რაჭაში არსებული ერთადერთი საწარმო, რომელიც დამატებითი საქმიანობის სახით ახდენს სხვადასხვა ნედლეულის დამუშავებას, მაგალითად ფურისულას ფესვების, ჭინჭრის ფოთლების, მაყვლის ფოთლების, უკვდავას ყვავილის, ძირტკბილას და ა.შ. თუმცა მათი ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში დიდი არ არის.

სურათი #5 - სარეალიზაციოდ მომზადებული ტყემლის საწებელი საკონსერვო საწარმოში

საქმიანობის დივერსიფიკაციის მიზნით, აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ხილის გადამამუშავებელი საწარმოები ახდენენ ასევე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის, მაგალითად ბოსტნეულის გადამუშავებასაც, რაც საკმაოდ კარგი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან როგორც ერთი ასევე მეორე მიმართულება დიდად არის დამოკიდებული კლიმატურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, ხილის ან ბოსტნეულის მოსავლის არასაკმარისად მიღების შემთხვევაში, საქმიანობის მეორე მიმართულება უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას და დაცვას გაკოტრებისაგან.

შესაძლებელია, რომ იმერეთისა და რაჭის რეგიონებში მოხდეს აღმოსავლეთ საქართველოს გამოცდილების თუნდაც ნაწილობრივი გაზიარება და გადამუშავების სხვა მიმართულებების დანრეგვაც.

5.4 კონკურენცია

დარგში არსებული კონკურენცია უნდა იქნეს განხილული ორი მიმართულებით: პირველი - რეგიონის ბაზარზე არსებული კონკურენცია და მეორე - ხილის გადამამუშავებელი ადგილობრივი კომპანიების კონკურენტული პოზიციები. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ხილის გადამუშავებით წარმოებული პროდუქცია თითქმის სრულად (სულ მცირე 95%) განკუთვნილია საექსპორტოდ და არა ადგილობრივი ბაზრისათვის. მათი განცხადებით,

არსებობენ უცხოელი მყიდველები, რომლებსაც გაცილებით მეტი აქვთ მოთხოვნა, ვიდრე ადგილობრივ მწარმოებლებს მიწოდება შეუძლიათ. შესაბამისად, კონკურენცია მათ საქმიანობასთან მიმართებაში პრაქტიკულად არ არის აქტუალური თემა. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარზე არსებულ კონკურენციას, ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ მიმწოდებელთა სიმრავლის გამო, ის საკმაოდ მძაფრია. ძირითადი კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოში წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის. ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული წარმოების პროდუქცია შედარებით უფრო ძვირია, ვიდრე იმპორტირებული ანალოგები, თუმცა მომხმარებლებში გავრცელებული შეხედულებით ქართული პროდუქცია ნატურალურია და შესაბამისად უფრო მაღალხარისხიანი, ვიდრე იმპორტირებული. გამომდინარე აქედან, მოკვლეულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ხილის გადამამუშავებელ არც ერთ ქართულ კომპანიას, რომელიც ამზადებს ხარისხიან პროდუქციას არ აქვს რეალიზაციის პრობლემა, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა ქართველი მწარმოებლები სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახდენენ შიდა ბაზრის სრულ უზრუნველყოფას წლის განმავლობაში.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 მეხილეობა - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების, როგორც საკვები პროდუქტების ხარისხი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს. ამისათვის ქვეყანაში არსებობს სურსათის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული სახელმწიფო ორგანო, პროდუქტის ნიმუშების აღებისა და ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ, იძლევა შესაბამის სერტიფიკატს, რომელიც აუცილებელია საკვები პროდუქტის ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე რეალიზაციისათვის. რეგიონში არსებული კომპანიები პერიოდულად გადიან აუცილებელ შემოწმებას და იღებენ კიდეც შესაბამის სერტიფიკატს.

პროდუქციის ხარისხის დადასტურების მიზნით რეგიონში არსებულ ცალკეულ კომპანიებს (მაგალითად, რაჭაში არსებულ ხილის გადამამუშავებელ კომპანიას) მიღებული აქვთ ISO სერტიფიკატი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სავალდებულო არ არის, პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ვინაიდან მას აქვს ე.წ. მიკვლევადობის გეგმა, რაც ამცირებს პროდუქციის წარმოების პროცესში ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს.

6.2 საექსპორტოდ საჭირო ფიტო-სანიტარული, ჰიგიენური და ხარისხის მოთხოვნები

მეხილეობის სფეროს განვითარებისა და ევროპის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტის განხრციელების მიზნით აუცილებელია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ნორმატიულ აქტებს:

- სურსათის ძირითადი კანონი: Regulation (EC) No 178/2002 laying down the **general principles and requirements of food law**, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety;
- სურსათის ეტიკეტირების წესები: Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on the **provision of food information to consumers**.
- სურსათის ჰიგიენის საკანონმდებლო პაკეტი:
    - სასურსათო პროდუქტების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები - Regulation (EC) No 852/2004 on the **hygiene of foodstuffs;**
    - სურსათის სახელმწიფო კონტროლის წესები - Regulation (EC) No 882/2004 on **official controls** performed to ensure verification of compliance with feed and food law, animal health and animal welfare rules
    - სურსათის მიკრობიოლოგიური ნორმები - Regulation (EC) No 2073/2005 on microbiological criteria for foodstuffs.
- დაშვებული საკვებდანამატები და მათი ნორმები: Regulation (EC) No 1333/2008of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on **food additives**

ამ ეტაპზე ევროკავშირში , კერძოდ გერმანიაში პროდუქციის ექპორტს ახოცილებს მხოლოდ შპს „ჯეოფლაუერი“, რომელიც აწარმოებს მაჟალოს (პანტა ვაშლის) ჩირს. კომპანიას წარმოებული პროდუქციის 95% გააქვს საქსპორტოდ. ხოლო ტყემალის გადამამუშავებელი საწარმოები კი მხოლოდ რუსეთის ბაზარზე არიან ორიენტირებულნი.

7 ექსპლუატაციური პროდუქტიულობა - დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ხილის გადამუშავებით მიიღება ორი ძირითადი პროდუქტი: ჩირი და ტყემლის საწებელი. კერძოდ, ტყემლის უდიდესი ნაწილი იწარმოება თერჯოლაში არსებულ საკონსერვო ქარხანაში. ნედლეულის მიღება ხდება ახლომბდებარე სოფლებიდან და რაიონებიდან, წარმოებული პროდუქცია კი სრულად გაიტანება ექსპორტზე. რაც შეეხება ჩირის წარმოებას, ამ მიმართულებით უმსხვილესი საწარმო არის რაჭაში. ჩირის წარმოებაში ასევე ჩართულია ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული მცირე საწარმო. აღნიშნული წარმოებები დამუშავებისათვის არ იყენებენ რაიმე განსაკუთრებულ ან თანამედროვე ტექნოლოგიას.

ჩირის წარმოების პროცესი საკმაოდ მარტივია. მიღებული ხილი სუფთავდება, იჭრება (მაგალითად მაჟალო, პანტა, ქლიავი), ასევე ცალკეული სახეობის ხილს ეცლება კანი (მაგალითად ხურმას) და კურკა და თავსდება საშრობ კაბინაში. შრობა მიმდინარეობს 70-80 გრადუს ტემპერატურაზე. მწარმოებლები აცხადებენ, რომ რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს შრობა, მით უფრო კარგი გემოვნური თვისებებით ხასიათდება მიღებული პროდუქტი, თუმცა ეს იწვევს შრობის დროის გახანგრძლივებას და აფერხებს მეტი რაოდენობით ნედლეულის გადამუშავებას სეზონზე. მიღებული ჩირი,

რომელიც განკუთვნილია საექსპორტოდ, თავსდება მუყაოს ან პოლიეთილენის ყუთებში და იგზავნება კონტეინერებით. მიღებული ჩირის მცირე ნაწილი განიცდის შემდგომ გადამუშავებას, კერძოდ ხდება მისი ამოვლება შოკოლადში და მცირე ზომის შეფუთვებში მიეწოდება ადგილობრივ ბაზარს.

ტყემლის გადამუშავების პროცესიც ასევე საკმაოდ მარტივია. ხდება ტყემლის გადარჩევა-გასუფთავება, შემდეგ იხარშება და გახეხვის შემდეგ მიღებული ფაფა წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს, რომლისგანაც სანელებლების დამატების შემდეგ მიიღება ტყემლის საწებელი. ტყემლის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს იმერეთში და ასევე იმერეთში ხდება ნედლეულის შეგროვებაც. 1 კგ. ტყემლის საწებელის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 1,3 კგ. ტყემალი. ვინაიდან წარმოებული პროდუქცია მთლიანად არის განკუთვნილი საექსპორტოდ, კერძოდ რუსეთში, ამიტომ მისი მოთავსება ხდება დიდი ზომის (დაახლოებით 200 კგ-იან) ჭურჭლებში და საავტომობილო კონტეინერით გაიტანება ქვეყნიდან, სადაც შემდეგ საბითუმო მყიდველის მიერ დაფასოვდება საცალო რეალიზაციისათვის.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთის და რაჭის რეგიონებში წარმოებული პროდუქტები ძირითადად განკუთვნილია საექსპორტოდ და მათი ტრანსპორტირება ხდება რუსეთსა და ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში. ამასთან, რუსეთში ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება საავტომობილო ტრანსპორტი, ხოლო გერმანიაში ტრანსპორტირებისათვის, პროდუქცია პორტამდე გადაადგილდება საავტომობილო ტრანსპორტით, ხოლო შემდეგ გემით. რუსეთში ტრანსპორტირების საშუალო ფასი არის 3500 ლარი კონტეინერზე (13 ტონიანი კონტეინერი), ხოლო გერმანიაში - 1500 დოლარი. როგორც მწარმოებლები აცხადებენ უცხოელი მყიდველები პროდუქციას ყიდულობენ ქარხანაში და თავად ახდენენ მის ტრანსპორტირებას.

წარმოებული პროდუქციის ის მცირე ნაწილი, რომელიც მიეწოდება ადგილობრივ ბაზარს, ძირითადად ასევე ადგილზე საწარმოებში იყიდება ან კიდევ მწარმოებელთა მიერ უშუალოდ მიეწოდება რამდენიმე სავაჭრო ობიექტს.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადი ხილის სახეობები, რომლებსაც რეგიონში სამრეწველო დანიშნულება აქვთ, არ არიან დაავადებათა რისკის ქვეშ. მეწარმეთა მრავალწლიანი გამოცდილება ადასტურებს, რომ ერთადერთი პრობლემა, რაც მათ შექმნიათ ცალკეულ წლებში, ეს არის გაზაფხულზე მკაცრი კლიმატური პირობები, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ხილის მოსავლის და შესაბამისად, წარმოებული მზა პროდუქციის ოდენობაზე. მეწარმეთა განცხადებით, ასეთი შემთხვევები საშუალოდ 5-7 წელიწადში ერთხელ ფიქსირდება ხოლმე და მათ უწევთ ნედლეულის შეძენის ალტერნატიული ადგილების მოძიება.

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა ჯაჭვში

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული მწარმოებლები თითქმის არ ახდენენ წარმოებული პროდუქციის საცალო რეალიზაციას, შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ სადისტრიბუციო არხები. თითქმის ყველა მათგანს ყავს მხოლოდ ერთი ან ორი მსხვილი მყიდველი, რომელიც თავად ახდენს პროდუქციის ტრანსპორტირებას მსხვილი პარტიებით. ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი პროდუქციის მცირე მოცულობა კი მწარმოებელთა მიერ საკუთარი არასპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით მიეწოდება სავაჭრო ობიექტების შეზღუდულ რაოდენობას.

ადგილობრივი ბაზრისათვის, ხილის გადამუშავებით მიღებული სხვადასხვა პროდუქტების (წვენები, ჯემები, ხილფაფები და ა.შ.) მიწოდება კი ხდება ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში არსებული კომპანიებისაგან. მათ უმრავლესობას აქვს ერთი ან რამდენიმე რეგიონალური სასაწყობე მეურნეობა, საიდანაც გამართული და კარგად აღჭურვილი სადისტრიბუციო სისტემის მეშვეობით საცალო ბაზარს მიეწოდება მრავალფეროვანი პროდუქცია.

9 ადამიანური რესურსები, სოციალური კაპიტალი და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში ხდება მხოლოდ ისეთი ხილის გადამუშავება, რომელიც არ საჭიროებს მაღალტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას. როგორც ჩირის, ასევე ტყემლის საწებლის წარმოება რეგიონში არსებული საოჯახო მეურნეობების დიდი ხნის ტრადიციას წარმოადგენს. არსებული საწარმოები კი, თითქმის იგივე ტექნოლოგიას იყენებენ, რასაც საოჯახო მეურნეობები, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხილის შრობა ხდება სპეციალურ საშრობ კაბინებში და არა ღია სივრცეში ბუნებრივად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ეტაპზე ვერც ხედავენ რაიმე განსხვავებული და თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების საჭიროებას.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

რეგიონში ხილის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის მიღების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს არც საშუალო და არც უმაღლესი განათლების დონეზე. შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აქვს მხოლოდ აგრარულ უნივერსიტეტს თბილისში.

9.3 სოციალური კაპიტალი და კოოპერირება

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მწარმოებლები პირადი ურთიერთობების საფუძველზე აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას. კოოპერირების განვითარებას ამ ეტაპზე ხელს მწარმოებელთა რაოდენობის სიმცირე უშლის და თუ მათი ოდენობა გაიზრდება, მაშინ ფერმერებს პირველ ეტაპზე,

შეეძლებათ ერთობლივად შექმნან ბაღები, ერთობლივად მოახდინონ შესაწამლი საშუალებების შეძენა-ტრანსპორტირება, ხილის ტრანსპორტირება ჩამბარებელ საწარმოებამდე, ასევე სასაწყობე მეურნეობების გაკეთება და ა.შ. ხოლო შემდეგ ეტაპზე კი შეიძლება პროდუქციის ერთობლივ ბრენდირებასა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნაზეც კი იფიქრონ.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

კვლევის პროცესში გამოკითხული მეწარმეები არსებით პრეტენზიებს არ გამოთქვამენ სფეროში არსებული ბიზნეს გარემოს მიმართ. ისინი თითქმის არ ხვდებიან რაიმე ფორმალურ თუ არაფორმალურ ბარიერებს ბაზარზე. მთავარი პრობლემა, რაც ბიზნესის განვითარებას აფერხებს, არის მოძველებული საწარმოო დანადგარები და საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა ნედლეულის შესყიდვისათვის სეზონზე.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო საკმაოდ ლიბერალურია, დაბალია გადასახადების მოცულობა, მატივია ბიზნესის დაწყება, დაცულია საკუთრების უფლება და ბაზარზე პრაქტიკულად არ არსებობს ხელოვნური ბარიერები.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

რაიმე კონკრეტული სახელმწიფო დარგობრივი პოლიტიკა ან პროგრამა, რომლიც მიმართული იქნება უშუალოდ ხილის გადამუშავების დარგის ხელშეწყობისკენ არ არსებობს. თუმცა გარკვეული ზოგადი ხასიათის პროგრამებს შეუძლიათ დადებითი როლის შესრულება, მათ შორისაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტები, ისეთები როგორებიცაა: აწარმოე საქართველოში; შეღავათიანი აგროკრედიტი; კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტი და ა.შ.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც ხილის გადამამუშავებელი მეწარმეები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

- ლიზინგის წესით თანამედროვე დანადგარების შეძენა, რათა მოახდინონ საწარმოების გადაიარაღება და წარმადობის გაზრდა;
- შეღავათიანი მოკლევადიანი კრედიტების მიცემა სეზონურად ნედლეულის საჭირო მარაგის შესყიდვისათვის.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

S • ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული • მუდმივი მყიდველების არსებობა	W • თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა • არასაკმარისი სანედლეულო ბაზა ცალკეული მიმართულებებით
O • ხილის პლანტაციების გაჩენება • სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად • საერთაშორისო ბაზრების გაფართოება • კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობა დარგში	T • რუსეთის ბაზრის არასტაბილურობა • ცუდი კლიმატური პირობები;

11.2 ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი

ჩატარებულმა კვლევამ, მათ შორის იმერეთისა და რაჭის რეგიონებში და მის გარეთ არსებული საწარმოების გამოკითხვამ და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ სამიზნე რეგიონში საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებში მოიყვანება მრავალი დასახელების ხილი, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს სამრეწველო პოტენციალი. მათი უმეტესობა მოიხმარება უშუალოდ საოჯახო მეურნეობის მიერ და მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება ბაზარზე.

ხილის იმ სახეობებიდან, რომელიც მოიყვანება სამიზნე რეგიონში და აქვს სამრეწველო პოტენციალი, პირველ რიგში აღსანიშნავია **ტყემალი, მაჟალო, ხურმა/კარალიოკი, პანტა.** ასევე დასავლეთ ნაწილში შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში (ხონის მუნიციპალიტეტის დაბლობ ნაწილში) შესაძლებელია კივის მოყვანა. რაც შეეხება ვაშლს, მსხალს ატამს და ბალს, სამიზნე რეგიონში ისინი იწარმოება, თუმცა არა გადასამუშავებლად, ვინაიდან იმერეთი და რაჭა, მათი წარმოების პოტენციალით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქვეყნის სხვა რეგიონებს, მაგალითად შიდა ქართლს, კახეთს და ა.შ.

ხილის პლანტაციების გაშენება - სავარაუდოდ, სწორედ ხილის წარმოების დაბალი პოტენციალის გამო არის, რომ სამიზნე რეგიონებში არ არსებობს ხილის გადამამუშავებელი შედარებით მაღალტექნოლოგიური საწარმოები (წვენების, ჯემების, ხილფაფების და სხვა პროდუქტების მწარმოებლები). მათი შექმნისათვის აუცილებელია საკმაოდ ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებები და გამომდინარე აქედან, ინვესტორი ასეთი საწარმოს შექმნის გადაწყვეტილებას ყოველთვის მიიღებს იქ სადაც არის სანედლეულო ბაზა. პირველ ეტაპზე სასურველია მოხდეს ტყემლის პლანტაციის გაშენება, როგორც ბაზარზე ერთ-ერთი მაღალ მოთხოვნადი პროდუქტის.

კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთისა და რაჭის რეგიონებში არსებობს, მხოლოდ ისეთი გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც იყენებენ მარტივ ტექნოლოგიას და სანედლეულო ბაზა არის უფრო მეტი ვიდრე სხვა რეგიონებში. ასეთია სწორედ ტყემლის საწებლის წარმოება, ასევე ცალკეული სახეობის ხილისაგან ჩირის დამზადება.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ხილის გადამუშავების კუთხით პერსპექტიულად **ისახება ტყემლი, და ხილის ის სახეობები, რომელთაგან ხდება ჩირის წარმოება.**

აღნიშნული მიმართულებების **განვითარებისათვის აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების საწარმოო ხაზითა აღჭურვილი საწამოების ჩამოყალიბება.** კერძოდ, მაგალითად ტყემლის გადამუშავების კუთხით, პერსპექტიულად მიგვაჩნია ისეთი საწარმოს შექმნა, რომელიც გამოუშვებს მრავალფეროვან ტყემლის საწებელს საცალო მომხმარებლებისთვის მცირე ზომის შეფუთვებში. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საწარმო შეიქმნება, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, მისი პროდუქცია იქნება უფრო კონკურენტუნარიანი როგორც შიდა ასევე გარე ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაცია უფრო მაღალ ფასში იქნება შესაძლებელი. იგივე ითქმის, ჩირის წარმოების კუთხითაც. არსებული საწარმოები პრაქტიკულად ნახევარფაბრიკატს უშვებენ, ვერ ახდენენ პროდუქციის სათანადოდ შეფუთვას, ვერ ქმნიან ისეთ მარაგებს, რომელიც შეიძლება მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად იქნეს მიწოდებული ბაზრისათვის და ა.შ.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ **წარმოების დივერსიფიკაცია**, მაგალითად ბოსტენეულის გადამუშავება, ან არებულის ხილის განსხვავებული მეთოდებით გადამუშავაბება, გარკეულ ფინანსურ სტაბილურობას შექმნიდა არსებული საწარმოებისათვის და მათ მისცემდა მიზნობრივი ბაზრების გაფართოების საშუალებას.

12 ბიბლიოგრაფია

1. საინფორმაციო პორტალი ფერმერებისათვის:ვაშლი, ვაშლის ჯიშები www.agrokavkaz.ge
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge
3. მრავალწლიანი კულტურების წარმოება საქართველოში http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
4. . საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები – http://moa.gov.ge